სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080142213728218

 # 319 **30 / იანვარი / 2018 წ.**

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2018 წლის 25 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ SMP180000269 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 100 წლის იუბილის აღსანიშნავი ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო საქონელი, მომსახურება და სამუშაო (CPV-03100000 - სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეული პროდუქტები; 18400000 - სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები; 92300000 - გასართობი მომსახურებები; 79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები), რომელთა ღირებულება შეადგენს 200000 ლარს.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს) დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. 2018 წლის 8 თებერვალს, იუნესკოს (UNESCO) ეგიდით გაიმართება უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გალა კონცერტი. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მიერ, პარიზში გენერალური კონფერენციის 39-ე სესიაზე მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით. საერთაშორისო დონეზე დაგეგმილ ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები. საიუბილეო ღონისძიება გაიმართება 2 სხვადასხვა ლოკაციაზე: თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში და კულტურისა და დასვენების ცენტრში - თბილისის ფუნიკულიორი.

მომართვის თანახმად, ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება ორკესტრის საავტორო კონცერტები, უცხოეთში მოღვაწე ქართველი მომღერლების მონაწილეობით, ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი „რუსთავი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი სუხიშვილები, გორის ქალთა კამერული გუნდი და სხვა. ასევე, ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა თემატური ფოტოგადაღებები.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ღონისძიების საიუბილეო გალა კონცერტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო შესყიდვის წინასწარ დაგეგმვა, ვინაიდან, აქტივობათა უმრავლესობა წარმოადგენს საავტორო ნამუშევრებს. დაგეგმილი აქტივობების მიმდინარეობის პარალელურად, იკვეთება კვალიფიციურ შემსრულებლებთან თანამშრომლობის საკითხები, რაც თავის მხრივ, დროში შეზღუდვას იწვევს. ღონისძიებაში ჩართულები არიან სხვადასხვა შემსრულებლები, მოლაპარაკება თითოეულ მათგანთან ხდება ინდივიდუალურად, გასათვალისწინებელია და მხედველობაში მისაღებია თითოეული მათგანის საჭიროებები და სხვა მრავალი ფაქტორი, რათა მათ შეძლონ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.

ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შესყიდვის ობიექტები არის არაერთგვაროვანი, ამიტომ საჭიროა არაერთგვაროვანი მიდგომა თითოეული შესასყიდი ობიექტის მიხედვით და უმრავლეს შემთხვევაში საჭიროა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება. თუ არ მოხდა სახელმწიფო შესყიდვის სინქრონულად ჩატარება, რომელიმე ტენდერი არ შედგა, უარყოფითი შედეგით დასრულდა ან/და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრდა, შესაძლებელია ღონისძიება ჩაიშალოს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, მითითებული მომსახურებების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტია სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 100 წლის იუბილის აღსანიშნავი ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო საქონელი, მომსახურება და სამუშაო.

ამასთან, აღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით, შესყიდვის ობიექტის შესასყიდად შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, არსებობს რისკი იმისა, რომ შეფერხდეს აღნიშნული ღონისძიება, რომელიც უნდა ჩატარდეს 2018 წლის 8 თებერვალს.

ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის ობიექტები არის არაერთგვაროვანი, ამიტომ საჭიროა არაერთგვაროვანი მიდგომა თითოეული შესასყიდი ობიექტის მიხედვით და უმრავლეს შემთხვევაში საჭიროა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება. თუ არ მოხდა სახელმწიფო შესყიდვის სინქრონულად ჩატარება, რომელიმე ტენდერი არ შედგა, უარყოფითი შედეგით დასრულდა ან/და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრდა, შესაძლებელია ღონისძიება ჩაიშალოს.

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მომსახურებების შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვები განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და

საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ SMP180000269 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე